



ნახ. ჯ. ლოლუასი

— უფროსო, რაღაც წინათგრაქნობა მაქვს, ამ კლიენტმა ფული არ დაგინდომოს!
— აფსუს, როგორ გავუზღა ხალხი, კაცს ვეღარ ენდობი, სადაა კაბიონსება!

№ 6 (1376) მ ა რ ტ ი 1972

სიანთი

თბილისიდან ზესტაფონში ჩასულმა გურამ შარიქაძემ ნათესავები მოინახულა. გულუხვი მასპინძლობით გულაჩუყებულმა ქუჩაში გაისეირნა და გამომშვიდობებისას ტკბილი კრინით „ჯანსაფონო, ჯანსაფონო, გზორღები“ წაიმღერა. გურამი „საქვაჭრობის“ მაღაზიის წინ შეჩერდა, გარედან აათვალიერა-ჩაათვალიერა, შემდეგ შიგ შევიდა და გამყიდველ ჯანაშვილს ერთი „ლავსანის“ საშარვლის გადაჭრა მოთხოვა.

გამყიდველმა საფასური 19 მანეთი და 50 კაპიკი ზუსტად ჩაითვალა.

— აჰა... აიღე ფული, არა? კარგი! მე შენ გიჩვენებ სეირს! — გურამმა თვალეები გადაუბრიალა და ჩექმებზე და შარვალზე დაიხედა.

— რისთვის მიწყრებით, რას მერჩით? — შეეიტყვა გამყიდველი.

— საცხოდ გავიხდი საქმეს!.. — დამუქრა გ. შარიქაძე, მაღაზიიდან გავიდა და იქვე შეჩერდა.

მოულოდნელი უსიამოვნების ამბავი გაიგო თუ არა მაღაზიის გამგე ქათამაძემ, განაწყენებულ მომხმარებელს გარეთ გამოეკიდა და თხოვა, შეყოლოდა მაღაზიაში.

— მე მანდ ფეხს არ შემოვდგამ, თუ გინდათ, ცალკე ოთახში შევიდეთ და იქ გავარკვიოთ სადავო საკითხი! — უთხრა გურამმა.

გამგემ იგი მეორე მხრიდან საწყობში შეიყვანა და თხოვა, ეთქვა, რითი იყო უკმაყოფილო.

— ახლავე დაკეტეთ მაღაზია, აღწერა უნდა ჩავატარო! — განაგრძობდა მუქარას გაცოფებული „მომხმარებელი“.

— დაწყნარდით, ბატონო. რაზე გჭირდებათ ამდენი აცალმაცალი, გავერკვეთ საქმეში!

— თუ არ გინდათ აცალმაცალი, მომეცით ხუთასი მანეთი და გავჩერდები!

ქათამაძეს ჭირის ოფლმა დაასხა, შემდეგ კი თითქოს დაეთანხმა კიდევ, მხოლოდ ოთხას მანეთზე მეტს ვერ შეეძლებო, — ჩაულაპარაკა თვითმარქვია „რევიზორს“ და ფულის შეკრებას შეუდგა.

— ჯანდაბას თქვენი თავი! იყოს ოთხასი!.. — უთხრა გურამმა და ფული შარვლის ჯიბეში ჩააცურა.

მაღა ჭამაში მოდისო. „რევიზორმა“ ახლა საწყობს გადაავლო თვალი და ქალის ფეხსაცმელს მუშტრის თვალი დაადგა.

— სადაურია?

— ჩეხოსლოვაკური.

— შემიხვეთ ქალაქში! — ბრძანა.

— 35 მანეთი ღირს. — უთხრა ჩუმი ხმით საწყობის გამგემ.

— თქვენზე დარჩენილი ასი მანეთიდან დამიკავეთ! — წარბშეუხრელად თქვა „რევიზორმა“... — მე ასი მანეთი დაგიტოვებ და თქვენ 35 მანეთზე შევაჭრებით?

— გვაპატიეთ, ბატონო, ეგეც თქვენი ფეშქაში იყოს!

— მორჩილად დაეთანხმა ღირექტორი და შეხვეული ფეხსაცმელი საჩუქრად გადასცა.

გურამ შარიქაძე ჯიბეჩაწეული და წელგამართული გავიდა გარეთ, მაგრამ ქუჩაში გასვლისთანავე ზრდილობიანად შეაჩერეს პროკურატურისა და მილიციის მუშაკებმა.

— ვის წაართვით ეს ფული და ფეხსაცმელი? — შეეკითხნენ.

— ეს ამგენმა ძალით შემაჩერეს ხელში, ოღონდაც გავანებე თავი, ნურსად გვიჩვილებო. — „გულუბრყვილოდ“ უთხრა გურამმა.

ასეთი „გულკეთილობისთვის“ გურამი კვლავ „დააჯილდოეს“... ამჯერად ათწლიანი საგზურით რკინისგისოსებიან „სანატორიუმში“.

ვასილ ხმალაძე



ნ.ს. ჯ. ლოლუასი

— რამ გადარია აქვსენტი?!
— კარგი პალტო ვერ იშოვა და თბილ კვეყნებში მიფრინავს.

საგამოცლო მანქანა — „ქრთამის მონანილი“

მრძი დღეს (ყველა უმაღლეს სასწავლებელში დიდი დაძაბულობა და ჩოჩქოლია ხოლმე საგამოცლო სესიებისას) ფიზკულტურის ინსტიტუტში სტუდენტები ადამიანის ანატომიის ჩაბარების განსაცდელში იყვნენ. ამ განსაცდელს კიდევ უფრო ამძიმებდა ის გარემოება, რომ საგანს მანქანა იბარებდა.

— რა ამბავია, რა ჩოჩქოლი და შფოთვაა, რა გაღლეგვით? — შეეკითხა სტუდენტებს ამავე ინსტიტუტის ანატომიის კათედრის უფროსი ლაბორანტი მათამაში პიტიმაშვილი.

— რა ვქნათ, ბატონო მათთი, დიდი გასაჭირი გვაქვს, ანატომიას ვაბარებთ და ისიც მანქანას. ადამიანის ანატომიას ადამიანი უნდა იბარებდეს და არა მანქანა. ესეც არ იყოს, ადამიანი გავიგებს გულისტკივილს, კითხვას გავიზარტივებს და ამით გავასალივებს პასუხის გასაცემად, მანქანა კი... — ასე შესციცივნებდნენ სტუდენტები უფროს ლაბორანტს, რომელსაც ჰქონდა მინდობილი ანატომიის მანქანით ჩაბარების ტექნიკური ორგანიზაცია.

— ნუ გეშინიათ, დაგვემარებოთ, ოღონდ მაღარიჩი თქვენზე იქნება, — დაიძინა სტუდენტები უფროსმა ლაბორანტმა, სტუდენტთა დიდი ჯგუფი შეკრება და დაარიგა, რომ საგამოცლო კითხვების პასუხს წინასწარ ჩააწერინებდა. ლაბორანტმა სტუდენტთა საგამოცლო ბილეთების ნომრები ჩაიწერა და წავიდა პასუხების გასამზადებლად.

— თითო ბილეთის პასუხი ოცი მანეთი ეღირება. გახარებულმა სტუდენტებმა კინაღამ ხელში აიტაცეს მათი მხსნელი.

— მაღლობა მერე მითხარით, როცა ნიშანს გაინადღებთ, ფული კი წინასწარ ჩამოყაჭეთ, თორემ მანქანას „სმაზკა“ თუ არ მივეცი... — ხუმრობით ჩაურთო სიტყვა ლაბორანტმა.

სტუდენტებმა თავთავიანთი საგამოცლო ბილეთების პასუხები ჩაიწერეს, „სემინარის“ ხელმძღვანელს თავისი გაუნადღეს და გამომცდელი მანქანისკენ გაემუხრნენ.

მანქანამ მაღალი შეფასება მისცა მათ „ცოდნას“. ამით ეს საგანიც ისტორიას ჩაბარდა. თუმცა არა, უფროსი ლაბორანტის მ. პიტიმაშვილის ეს სამარცხენო ისტორია ისტორიამ კი არა, სათანადო ორგანოებმა ჩაიბარეს.

ერთი ჩუმი გოგო იყავ,
თვალუყუნა, ტანწერწეტი...
დინჯი სჩანდი, სათნო სჩანდი,
მიამიტი მეტისმეტი...

პოდა, ყველას გულსაწყვეტად
გათხოვილხარ, უცებ, ქალო...
ართვალს, ხნიერს გაპყოლიხარ,
საგოგმანო მარჯნის თვალთ!

მოგიწყვია შინა ომი,
შვილებს მამა გამოსტაცე...
(როცა თავში ტვინი არ აქვთ,
ასე მოსდით ჩურჩუტ კაცებს!)

რისი მული, რისი მაზლი,
დაი, ან ძმა, ბიძაშვილი?
გვარი გვარად ამოგადე,
არ ისურვე გეშვა შვილი!

ორი „ვოლგა“ დაითრიე,
ერთი — შენად, ერთიც —
სხვისად...
ქაშუეთში სანთლებს ანთებ,
განსაწმენდად „მონა ღვთისა“.

როგორც მხეცი, ისე დაძრწი
აღმა-დაღმა, მინდორ-ველად...
რაც რომ ოქროს ნივთი ნახე,
გსურს ჩაყლაპო ერთად ყველა!

რადგან თქმაა, თქმა იყოსო...
მითქმა-მითქმაც, ლაპარაკიც...
მტრის ჯინაზე წამოჭიმე
ზღვისპირ კოხტა აგარაკი.

რა ავეჯი! ქაშანური!..
მუხუმი!.. ანტიკვარი!..
რა ღინლი და რა საგები,
შიგ ჩაფლული ხრონწი ქმარი!..

პოდა, ერთ დღეს შენი ქმარი —
ბრმა, უჩინო, ცოცხლად მკვდარი,
გადაღობილს იქით მოხვდა,
დაუნგრის გუბე მყრალი...

ლევან მილორაზა

გიგო ზარნაძე

სარ ნაიყვან სარეუკსა...

ერთმანეთს ხვდებიან მახაჩყალის „ლეზგინკა“ და პეტრო-
ზავოდსკის „ლესნიკი“... აი, ბურთი მიიღო დადესტენელთა ცენ-
ტროფორვარდმა, ცრუმოძრაობით აუარა გვერდი რამდენიმე კარელია-
ფინელ დამცველს და ის იყო ცენტრალური მცველიც პირში ჩალა-
გამოვლებული უნდა დაეტოვებინა, მაგრამ ამ უკანასკნელმა თავ-
განწირულ ნახტომში უნაკლოდ შეასრულა „პოდკატი“ და ორივე
გულაღმა გაიშოტა...

— ვაი, ნანა! — აღმოხდა დადესტენელს და გამწარებულმა ფეხ-
ში იტაცა ხელი.

ფინელი ელდანაკრავივით ზეწამოიჭრა, მივარდა მოწინააღმდე-
გესთან, მზრუნველად შეავლო ხელი ამოვარდნილ კოჭზე და ცრემ-
ლიანი ხმით, ამაყრყოლად წამოიძახა:

— შენც ქართველი ხარ, ბიჭო?! — მაგრამ დაზიანებულმა მუხ-
ლმა უმტყუნა და მანაც მის გვერდით ჩაიჩოქა.

... და იწვა საჯარიმო მოედნის მისადგომებთან ორი ახოვანი ჭა-
ბუკი: ერთს „ლესნიკის“ მწვანე ფორმა ემოსა, მეორეს —
„ლეზგინკის“ კრელი მაისური...

მაგრამ ღმერთმა და მწვრთნელებმა ხომ იცოდნენ, რომ არც ერ-
თი იყო ლეკი და არც მეორე ფინელი: ორივენი... თბილისის სპორ-
ტსკოლის აღზრდილები იყვნენ...

კახი კატიაშვილი

სამაღ სამი წელიწადია, რაც უმაღლესი დავა-
მთავრე და მოსამსახურე გავხდი, მაგრამ უკვე
სამი ადგილის გამოცვლა მოვასწარი.

პირველად თავმდაბალი, კულტურული, განათ-
ლებული დირექტორი შემხვდა, მაგრამ რად გი-
ნდა მერე: „ბატონო“ არ მოსწონდა. ეგ ახალ-
გაზრდა, სულ „ბატონობით“ რომ მომმართავს,
ალბათ მლიქვნელიაო.

მოვკარი თუ არა ყური, მივართვი გათავისუ-
ფლების განცხადება და მომართვა შრომის წიგ-
ნაი.

მეორედაც ისეთი დირექტორი მარგუნა ბედ-
მა... თქვენგან მოწონებული: თავაზიანი ვაჟკაცი.
განსწავლული, მაგრამ რად გინდა მერე: „ბატი-
ცემულო“ არ მოსწონდა. ეგ ტიპი, სულ „ბატი-
ციემულო-ბატიციემულოს“ რომ შექაზის, ნამდ-
ვილად ინტრიგანია, ვინმეს ეგონება, სამსახურ-
ში მიღებისათვის ქრთამი გამოვართვით.

მოვკარი თუ არა ყური, მივაშავე გათავისუფ-
ლების განცხადება და მომაქვავე შრომის წიგ-
ნაი.

მესამედ ისეთ დირექტორს გადავეყარე (ყი-
ვლი არ ყოფილა, ქართველი იყო), რომ... ღმე-
რთმა დაგიფაროთ! — უვიცი, უზრდელი, უხეში...
ეგ ვაჟბატონი, სულ „ამხანაგო-ამხანაგოს“ რომ
გაიძახის, ნამდვილად ანონიმკებს წერსო.

არც ამგვრად გავჩქივებულვარ, გავაფორდი და
კაბინეტში შეივარდი: ჩქარა, შრომის წიგნაკი-
მეთქი! კადრებს მიაკითხეთო, მშვიდად მომიგო.
თურმე ერთი კვირის წინ „დაეკაყოფილებინა
ჩემი თხოვნა“ სამსახურიდან გათავისუფლების
შესახებ.

ახლა შვილი თვის უმუშევარი ვარ და შვილ-
თვინივით ვაწყდები აქეთ-იქით: მიშველეთ,
წვრილშვილის ბატონი ვარ, სამსახურში მიმი-
ღეთ და, უბრალოდ სახელითა და მამის სახე-
ლით მოგმართავთ-მეთქი.

იმის მაგივრად, რომ პასუხი მომიგონ, მხრებს
ინეჩავენ და უპასუხისმგებლოდ მიშორებენ თა-
ვიდან. არაფერს მღებულობს.


მინაწერი:

არც მთლად მახეა საქმე, მეც ვტყუი. გუშინ
ერთმა რესტორნის დირექტორმა შემომთავაზა:
ჩიგარ, თუ გინდა, სამზარეულოს მუშად გავა-
ფორმებ, დღეში ათმანეთიანი იქნები. „საიდან,
როგორ“ შენი საქმე არ არისო. თან გადავუვი,
მაგრამ სახელი და მამის სახელი არ მითხრა, რა-
ში გპირდებო.

რა გაეწყობა. ჩიგრიანი კაცია და მეც „ჩიგა-
როს“ დავუძახებ.



— დედიკო, მე რომ სულ მერხუბები, სხვისი
კრავიერი აიღო, მამა რატომ იპარავს ქარხნი-
დან რაღაცეებს?
— იმიტომ, შვილო, რომ მამა ღიღია.



— რატომ დაგვიპირებს?
— ღორბინთვის.



— შემოუშვებო ცხადყო, რომ ყველაფერი წეს-
რივში გავეს, მაგრამ, რა ვქნა, ქმარო, აქტი რომ
არ შემიღებინო, იფიქრებენ, ქრთამი აიღო!



ნახ. ნ. მაღაზონიანი



— ქმარი მაინც მომეცე თავის ფასში, თორემ ქმარს გაღმე ცხვირიდან!

1. უფროსის წინ იკრიჭება, ლანძღავს, როცა გაიცინებს, საცინელიც რომ არ იყოს, მის ნათქვამზე გაიცინებს.

მუდამ ქვემოქვემ მძრომელია, დიდ კაცის წინ ლოღავს პირქვე, აბა, მითხარ, როძელია? ამნაირ კაცს ვარქმევთ... (რ ა ნ ე ნ ე წ ა მ ე)

2. საქმეს აჭიანურებს და აკანონებს ყველგან ლოდინს, გამარჯობაც რომ შეჰკადრო, გიპასუხებს: „ხ ვ ა ლ ე მ ო დ ი!“

განცხადებას გაუჯანჯლებს სილიბისტროს, პიმენს, სოკრატს, თქვი, რა სახელს უწოდებენ ამ უმსგავსოს?... (რ ფ ა ე წ ა მ ე ს ა მ ე)

3. დილით ადრე რომ ადგება, მიადგება უმაღ არაყს, ზედ ღვინოც რომ მიაყოლოს, რა მოყვება, ფიქრიც არ აქვს. ის მზად არის, ყოველ წუთში აგიტეხოს ჩხუბი, შფოთი, რას ვეძახით ასეთ წამხდარს, დაუფიქრდი, არის... (ს თ ა მ ა)

სტეფანე მხარბრაძელი

კარგად უნდა იცნოთ

ახალგაზრდებს ერთმანეთი შეუყვარდებათ, დაქორწინდებიან, სიხარულით იშენებენ ტკბილ ბუდეს. თავიდან ერთმანეთის ესმით, თითქოსდა ყველაფერი რიგზეა, მაგრამ:

ცოლი (მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი) — ძალიან მომწონს საადის ლექსები.

ქმარი (ბ უ ლ ა ლ ტ ე რ ი) — არ გადამრიო, ქალო, ჩვენმა მეეზოვე საადამაც დაიწყო ლექსების წერა? ვაი, სირცხვილი! ჩემს გარდა ყველა გაპოეტდა.

ქმარი (ა ს ტ რ ო ნ ო მ ი) — დღეს, ალბათ, შემაგვიანდება, ვენერას უნდა დავაკვირდე.

ცოლი (დ ი ა ს ა ხ ლ ი ს ი) — ვაი, შენს პატრონს უბედურს, სხვა ქალების ყურებას, გირჩევენია საკუთარ ცოლ-შვილს მიხედო!

ქმარი (ე ქ ი მ ი) — ვისი ნახატებია?

ცოლი (მ ხ ა ტ ვ ა რ ი) — ტიცინის.

ქმარი — ოჰო, ტიცინ ტაბიქემ ხატვაც იცოდა?

ქმარი (მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე) — დღეს გავიგე, კაცო, ჩომბე დაუჭერიათ.

ცოლი (დ ი ა ს ა ხ ლ ი ს ი) — საქმეს, ალბათ, ისევ შენ გაარჩევ.

ქმარი (პ ო ლ ი ტ მ ი მ ო მ ხ ი ღ ვ ე ლ ი) — დღეს ვილსონი გამოეთხოვა თავის კაბინეტს.

ცოლი (დ ი ა ს ა ხ ლ ი ს ი) — საკვირველია, თქვენი თანამშრომლებიდან პირველად მესმის ასეთი უცნაური გვარი. ჩემი დაბადების დღეზე თუ გყავდა მოწვეული?

ფირფიტების ჯიხურთან

ქმარი (ვ ა ქ რ ო ბ ი ს მ უ შ ა კ ი) — რას ყიდულობ?

ცოლი (მ უ ს ი კ ა თ მ ც ო დ ნ ე) — ვაგნერს.

ქმარი — „კაცი ვარ და ქუდი მხურავს“ მღერის?

ცოლი (ე ქ ი მ ი) — დღეს სიმპოზიუმზე დაბეჯითებით მოვითხოვე სპირტიანი სასმელებითა და თამბაქოთი ვაჭრობის შეზღუდვა.

ქმარი (დ ვ ი ნ ი ს ტ ე ქ ნ ო ლ ო გ ი) — მაშინ მეც იძულებული ვარ, დაბეჯითებით გთხოვო, „სიორკის“ ქურქის ყიდვა გადადო!

ნახ. მ. პარსთავაძისა



— ეს რა უსულგუნო დამოკიდებულება მოხმარებლისადმი!



ნახ. მ. ლომიძისა

— საიდან უნდა მიუღებს კაცი ამათ, რომ კარგი საკონფორტი გამოგიჩინონ? — გვერდიდან, ქმარო, გვერდიდან!

როგორ იწარმატა ზოგიერთი საქმიანი ქალაქი

განცხადება

სკოლის მერხიდანვე ჩემი შეგნებული ცხოვრების საბოლოო მიზანი იყო „სამთო ფაკულტეტის მარგი წიაღისეულის გამდიდრება“, რისთვისაც ვთხოვთ, პატივცემულ რექტორო, დამიშვათ მისაღებ გამოცდებზე აღნიშნული პროფილით.

აკველილი მოწყობილი

დახასიათება

გუგული ალიმენტის ძე ცნობილადე მუშაობს ჩვენს ქარხანაში ზეინკალ-შემკეთებლად. ამხ. ცნობილადე არის ნიჭით, ენერგიით, მონდომებითა და საქმისადმი მხურვალე სიყვარულით აღსავსე სპეციალისტი. პირად ცხოვრებაში თითოთ საჩვენებელი: წვრილშვილიანი, გუგულივით უწყინარი, ახალდადებული თოვლივით სპეტაკი, მორალურად გამობრძმედილი და იდეურ-პოლიტიკურად მომზადებული. თამამად შეგიძლიათ ენდოთ და გაუშვათ უცხოეთში ტურისტული საგზურით.

ხელმოწერილია

როგორ უნდა იწარმატოს

განცხადება

შარშან სამედიცინოზე ვაბარებდი და ჩაფლავდი. წრეულს პოლიტექნიკურში გადავწყვიტე თავის შეყო-

ფა და „მარგი წიაღისეულის გამდიდრება“ დამიჯდა კეკუში. ურიგო სპეციალობა არ უნდა იყოს, რაკი ენერგიული და მდიდრება ჯეა ლაპარაკი. მშობლები კვლავ დაფურცდნენ, დააზუსტეს, ვისთან შეიძლებოდა ჩემი გამდიდრება, ცხადია, უმაღლესში მოწყობის გარანტიით, და, შარშანდელივით, ჩემი წონა ფული ჩაუყაჭეს შეფუთვადგოვებს, რომლებმაც იმედი მოგვცეს: თუ მთლად კრეტინი არ არის, გავასტუდენტებთო. ვთხოვთ შემიშვათ მისაღებ გამოცდაზე!

აკველილი მოწყობილი

დახასიათება

გუგული ალიმენტის ძე ცნობილადე მუშაობს ჩვენს ქარხანაში ზეინკალ-შემკეთებლად. უფრო სწორად—გაფორმებულია, რადგან იშვიათად ნახავთ ადგილზე და თუ ნახავთ — არყით გამობრუებულს. ცნობილადე არის შენიშვნებით, საყვედურებით, გაფრთხილებებითა და უკანასკნელი გაფრთხილებებით აღსავსე გაუსწორებელი ელემენტი. თითოთ საჩვენებელი არამზადა: სამცოლგაშვებულ-ბევრ-შვილთავანებებული (გუგულივით სხვის ბუდეში უყვარს კვერცხის დადება), სახარატო ჩარხის მოპარვისთვის ნასამართლევ, თუმცა ანკეტაში არ უწერია ნასამართლობა, ამოშლილი აქვს საკუთარი ხელით. ამჟამად საზღვარგარეთ აპირებს წასვლას ტურისტული საგზურით და სულ იმას კითხულობს, საზღვარზე ჩემოდნებს თუ ჩხრეკენო. აწი თქვენ იცით, ვინდა გაუშვით, ვინდა არა!

ხელმოწერილია

მინიატურა

არასდროს დამავიწყდება ჩვენი გაცნობის მღელვარე წუთები. კეთილი, გულწრფელი ღიმილი გეხატა ბავშვზე. სახე ახალ მთვარესავით გქონდა გაბადრული. ვგრძნობდი, რომ კმაყოფილი იყავი ჩემი გაცნობით. მეც აღტაცებული დავრჩი შენი პიროვნებით. მახსოვს, როგორი გატაცებით ვსაუბრობდით, ვიცინოდით, ანეკდოტებს ვყვებოდით, ვმღეროდით, ერთი სიტყვით, ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა... შემდეგ ჩვენი დაახლოება თანდათან სიყვარულში გადაიზარდა. ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი. მე დღესაც მიყვარხარ და მენატრები. ყოველ წუთს მგონია, რომ კარს შემოაღებ, შემოხვალ. გამახარებ, ამავსებ... მაგრამ შენ აღარ ჩანხარ. გამირბი, ქუჩაში რომ დამინახავ, გვერდს მივლი, თვალს მარიდებ, მემალეები, ბოლოსდაბოლოს, რას მერჩი, რა დავიშავე, ცუდი ხომ არაფერი ჩამიდენია. შე ქალო, ფული გასესხე!

ნ. ნ. ზ. შირსხალაშაძე

ვანო ცინცაძე

ს ა ე ზ ვ ო ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა

მრთი საღამოს ერთმა ახალგაზრდამ უკონდუქტორო ავტობუსში ბილეთი აიღო. მისი საქციელი არავითარ ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ როცა ბოლოშობილებით უხმაუროდ წინ გაიარა და დაჯდა, ცოტა არ იყოს შეიშუშუნენ მგზავრები.

- ბილეთი აიღო! — გადაუჩურჩულა ერთმა მეორეს.
- ენახე!
- რაღაცაშია საქმე!
- მეც ასე ვფიქრობ!
- ხმას არ იღებს!
- არც ილანძღება!
- შავი ფერის ჩანთა უჭირავს!
- გამოქცეულია და თავს აფარებს!
- კაცი ეყოლება მოკლული.
- შეიძლება, ახლა მიდის ვინმეს მოსაკლავად!
- გვერდით მჯდომ ქალიშვილს ვერც კი ამჩნევს, ერთხელაც არ შეხედა!
- არაფრად ავდებს, შეურაცხყოფას აყენებს მოქალაქეს!
- ფეხქვეშ თელავს მის სინდისს!
- უსინდისო!
- შუბლგარეცხილი!
- საძაგელია!
- ქურდია!

- დაიჭირეთ! — ვერ მოითმინა და წამოიყვინრა პირველმა.
- არ გაუშვათ! — გაისმა მეორის ხმა.
- ეს იყო და ავტობუსი გაჩერდა. ამოვიდნენ სახალხო რაზმელები და „ღანაშავეს“ ჩაავლეს ხელი.
- რაშია საქმე? — ზრდილობიანად მიმართა მათ ახალგაზრდამ.
- გამოგვყევით, მაგას გავარკვევით!
- კი მაგრამ, მე ხომ არაფერი დამიშავებია, მითხარით მაინც, რაშია საქმე?
- გავარკვევთ-მეთქი! — მკაცრად მოუჭრეს სიტყვა.
- დიდი გაიძვერა ვინმეა, ვითომდა, არაფერი: მიჰყავთ, ის კი წინააღმდეგობასაც არ უწყებს!
- არც ხელი გაუჭნევია!
- ხელის გაჭნევა კი არა, არც შეუგინებია!
- თავიდანვე მივხვდი, წმინდა სულის რომ არ იყო!
- ავტობუსში ამოსვლამდე სიგარეტ-ჩაქრო და ურნაში ჩაავლო!
- ნე მოქეტ ბიტ!
- ჩემი თვალთ ვნახე!
- აფსუს, რა ახალგაზრდობა მოდის!

ნოზაძე ბართია



— ახლაც არ გჯერათ, რომ საკმისთან ვხივარ?



— ქალიან მომრავლდა ქალაქში ქულების ატვლივებით. — კარგია, იქნებ ნაშუსიანი ხალხიც მომრავლდეს!

მოხეხილი თაგვი

(აფხაზური ზღაპარი)

ღვინის კასრში ჩავარდნილმა თაგვმა კატას დაუახა: „აჲალა, ლუკმა ვიყო შენი, დამიხსენი ოღონდ ახლა!“


გაუშვირა კატამ კუდი, კუდს ამოჰყვა თაგვი ნელა. შემდეგ თაგვმა ისკუპა და დაიმაღლა ხერგელში ხელად.

მიაძახა კატამ რისხვით: „უნამუსო, ეს რა ჰქენი? ხომ ამზობდი, თუ დამიხსენი, ვიქნებით ლუკმა შენი?!“

თაგვმა უთხრა: „კი დაგპირდი, მაგრამ მთვრალი ვიყავ მაშინ და გახსოვდეს, მთვრალის სიტყვას ნუ ენდობი მომავალში!“

ბივი სოფრობაძე

ნახ. რ. სანაღირაძის



— ბვინი ბაჰვით? — ბვინი რომ არ მქონდეს, უხადლუსდათვა-რეგული აჰ ვიშუსავებდი?

სიყვარულის პროთეჯი

თბილისის აეროპორტიდან ლინერი მეშვიდე ცაში რომ აფრინდა, ერთი უნებურად დაეგზინე. აქეთ-იქით მსხდომებმა მკითხეს, გული ცუდად ხომ არა გაქვთ, ვალიდოლს ჩავაყლაპებთო. არა, ჩემს ტკივილს მთელი ფარმაკოლოგიაც ვერ დააყუჩებს-მეთქი. გაოცდნენ; განა ისეთი რა დარღუბალათ. იძულებული ვიყავი, ჩემი საბოლმეული ამომეღერდა:

— ამ მზიან ქვეყანაზე ერთადერთი ბიჭი დამიღის... სტუდენტი, სამი თვით პრაქტიკაზე გაგზავნეს. ინსტიტუტმა სტიპენდია და საჯარო მისცა, მეც სამი იმდენი დაფუძნე. ერთი თვეც არ გასულა და მომივიდა დეგრადაცია: შაბათს გქორწინებდი და ჩამომხდებოდა... ელდა მეცა და კრიკა შემეგრა. ასე უცებ რამ აატრუა?... ეგ არის მაგის პრაქტიკა?!

მანუგეშეს: რალა ადრეა, ოცდასამი წლისა ყოფილა. აბა, ბებრის ქორწინს რალა მადლი ექნებაო და... ჯაგრის გადასაყრელად ერთმა მიაგზობო:

— რალაც ბედად ქუჩაში ბიჭბუჭების ჩხუბს წავაწყდი. გაშველება დაეუწყე და... ერთმანეთისთვის მოქნეული მუშტები ერთმა მარცხენა ყბაში მდრუხა, მეორემ—მარჯვენაში. ორი კბილი მაკარონივით მიემეტრა. კბილის ექიმთან მივედი. ისეთი შემხვდა, თვალი ზეღ დაგჩრებოდათ: ფუნჩულა, ცქრიალა, თვალეკამკამა, ალურსიანი. გამისინჯა და მითხრა: საშიში არაფერია, ძირი მაგარი გაქვს, ოქროს ქულს დაეხურავ და დაგშვენდება კიდეცაო. ბროლის თითებს ლოყაზე ჟრუანტლად მითათუნებდა, თავს კინალამ მეკრუნე მარჯვად და სუფთა თმის ნახსურნელეზით თაფლივით ტკბილ ბურანში მახვევდა... ეს სიამე სულ ორ კვირას გავრძელდა. მერე ორ კვირაზე მეტი ვეღარ გავძელი მის უნახავად და კვლავ ვეწვიე. რომელი კბილი გტკივო. მე ვერ ვარკვევ, მარცხნივ ყველა მაწუხებს-მეთქი. ათვალეირ-ჩაათვალეირა, პატარა ჩაქუჩი უკაჟუნა და მითხრა, დაზიანებული არა ჩანს რაო. მაინც აღარ მოგშორდი და იმასაც რა ექნა, ადგა და მარცხენა მხრის საღეჭი კბილი ერთი კვირა ბურლა, ბურლა, საძირკველ-გამოთხრალი ჯიხურავით მოაფამფალა და ამომადრო... მალე კვლავ მომენატრა თეთრხალათიანი მშვენიერის ხილვა, მისი სუნთქვის ნიაჟი... მივიღი, გაცივებული ცხენივით დაგკრიკე კბილები. მიკაჟუნა, ხრა-ხრა-ხრა და ბოლოს ამოსაღები გახდა მეორე, მესამე... მომენატრებოდა მისი სალბუნი, მიცეუნეულდებოდი... ვაი, ჩემო უღანაშაულო კბილებო; რა უღროოდ გავწირეთ! ჰოო და, მარტო ზედა და წინა კბილებიღა დამრჩა... მაშინ კი მოვიკრიფე ვაბედულება და ვთხოვე, ოპერის ბილეთები მაქვს, დამდე თ პატრივი, ერთად წავიდეთ-მეთქი... პირველ ანტრაქტშივე გავუტყვი: კბილები კი არა, გული მაწუხებდა-მეთქი... შევებრალე, მაგრამ არც ჰო მითხრა, არც არა... მაინც ერთხელ კიდე დამიბარა და ამხსნა: ხიდეშელიც კი ვეღარ გაიღებო. ორ კვირაში პროთეჯი გამიკეთა და ქორწინების სახლშიც გამომიყვანა... ახლა ვატარებ ამ სიყვარულის პროთეჯს და ჩემს შვილებსაც კი ვუმაღავ, ბებერი არ ვეგონო... ასე, ჩემო ბატონო, კარგი საქმე ადრევე სჯობია, გულს რაზე იხეთქავ, დაე, იქორწინოს თქვენმა ვაჟმა, ტკბილი პაპობა მაინც არ გინდათ?!

მართლაც, პაპობა მომენატრა. გადაიწყვიტე, არაფერი მესაყვიდურა, სარძლოსთვის ოქროს საათი მიმეძღვნა და გავმხიარულდი კიდეც. „ტუ-104“ ბეტონის ბილიკზე გიჟი ხარისვით ვარბოდა... თვითმფრინავის კიბეზე ჰაბუკივით ჩავიბრინე, მოედანზე გავიდი და ჩემი ბიჭი და მისი ამხანაგები შემომხვივნენ, მოცინდნენ და მპირდებოდნენ: ამ ერთ კვირაში მთელ მოსკოვს დაგათვალეირებდნენ. მე ვუთხარი, ახლავე ჩემს სარძლოსთან მიმიყვანეთ-მეთქი. ჩემმა ბიჭმა ამხსნა: ვიცოდი, ახლა შეგებულება გაქვს, მოსკოვის ნახვა გინდოდა, შენ ფულს შენთვის ვერ იმეტებდი და მოგატყუე და მაპატიეო... მისი მეგობრებიც შემეხვივნენ... მეწყინა, მაგრამ მეტი რა ჩარა იყო, ვაპატიე ეს ხუმრობა, ვაპატიე და ზედაც ჩემი პირობა მივაყოლე: აქედან ურძლოდ ფეხს არ გავადგამ, სადილობოს დიაც თუ არა, რძალი მომიყვანე, შვილიშვილი მენატრება-მეთქი!..

შალვა ბიგაშვილი

პაროდიები

პარიკარისტის სიძლიერა

(„მეფაიტონის“ მოტივზე)
როცა ვიყავი ერთ დროს უფროსი, აბა, რა მქონდა დარდი? ჩემი მეუღლე ახლა ბაზარში საკუთარ ფეხით დადის.

ჩემი მანქანა დღეს სხვას ატარებს, მე აღარ შემერჩა ვირიცი, ვირს არ დავეძებ, სხვა რამ მადარდებს, დაკარგულ მაყუთს ვტირი.

ავტორიტეტი რაც კი გამაჩნდა, გრამი არ დამრჩა სახლში. ერთ დროს პირველი ექსტრათამადა დავატარავდი ხალხში.

პატივსა მცემდნენ მარტო სკამისთვის ცოლი, მამიდა, შვილიც. უკანასკნელი კარიერისტი ვემშვიდობები თბილისს...

ძმაბიჭებში დაცხარული

(არა „სიმონა დოლოძის“, არა მედ სიმღერის: „ვაი, ვეღარ ვხედავ მზეს“... ჰანგზე)


ქუჩა-ქუჩა ძმაბიჭებს ახლა ვეღარ ვხედავ. სად წავიდნენ, მათზე ფიქრი მაგიჟებს, თუ შევხვდები ნეტავ! ვაი, ვეღარ ვხედავ მზეს, სუფრას თუ ვერ ვხედავ, ყველაფერი თავსაყრელად რომ მაქვს დღეს, მამაცა მყავს, დედაც! მილიციამ შემიპყრო, თუ სიზმარში ვხედავ, ხვალ რომ ჩემი სასამართლოს დღე დადგეს, თუ დამიხსნით, ნეტავ!..

დამწვრის სიძლიერა

(„ცოცხალი, ვარ, ცოცხალი“-ს ჰანგზე)

როგორც ბოლტი, ისე უცებ მომაძვრეს, რევიზიამ ამაფეთქა წუხელი. ბიძაჩემო, კარზე უნდა მოგადგე, ჩემს გასატყირს ისევე შენ თუ უშველი! ცოცხალი ვარ, ცოცხალი, მე ჯერ არ დავიწყებდი, ბიძა თუ გყავს ჯიგარი, სიკვდილს დაავიწყდები!

პაროდიები ჩაიწერა როსტომ ყენიამ



კრიტიკა კვთვრითების ჩრდილში



— სერაფიმონ, რაჲ ბიორგი სკა-
კაქმსავით ვუყობი?
— შენ თუ გგონია, ნაკლები ომი
მაქვს გადასახდელი: მშარალი უნ-
და გავაკრიტიკო!



— ამ კოვტს რატომ არ კრიტი-
კებ, კალიან სუსტია!
— სამაგიეროდ ვიზიტირადკა
კლიერი!

სიანგის ინფორმაციები

ნავსადგური (ქობულეთი)

...იფიქრებთ, ზღვიდან თუ არის
ეს წყალი ვადმოვარდნილი.
ამათი ავტოსადგური
ნავსადგურია ნამდვილი.

ან გომები შეცვალეთ... (აბაშის რ-ნი)

სოფელ საბოკუჩაგოს
აქვს ელექტროსინათლე,
მაგრამ ერთ „სიბნელეზე“
უნდა ითქვას სიმართლე:
ელექტრონის ბოძები,
ძირმომბალნი სრულებით,
ბარბაცებენ, ვით კაცნი
ღვინით ვათანგულები.
ჰოდა, ესმის ქვეყანას
ამა სოფლის ხმა მკაცრი:
ან ბოძები შეცვალეთ,
ან ამ საქმის თავკაცი!

სამშავი ფასი (გორი)

გორში ყველას ჰყავს სტუმარი,
ღვინო როდი აქვს ყველას...
და როცა გორელს ეწვევი,
ოჯახი შფოთავს, ლელავს;

მთელ მალაზიებს მოივლის,
ღვინო არ არის წვეთიც,
ჩამოსასხმელი ღვინისა
არსად ჭაჭანებს წერტი.
ბოლოს რესტორანს აკითხავს
(ხომ უნდა მოგალხინოს?)
სამშავი ფასი უჯდება
მასპინძელს ბოთლი ღვინო.

ალიმენტს უზამს პატარავს (ღმანის რ-ნი)

სოფელ ჯავახის მცხოვრები
ნიკოლოზ ადუაშვილი
ბავშვების გახსენებაში
გულმავიწყია ბავშვივით.
ხუთი წელია, ალიმენტს
აღარ უგზავნის პატარებს,
იმათი წილი ლუკმითა
დროს უღარდელად ატარებს.

ჩამირული ქუჩა (თელავი)

რა აბსტრაქტული ხედია,
ხალხი რამ შეაქუჩა?
ცალწვერგაპარსულ კაცსა ჰგავს
ჯორჯიაშვილის ქუჩა.
მარჯვნივ, ასფალტის სარკეში,
ზეცა კიაფობს ლურჯად,
მარცხნივ, ტალახის საფარში,
თვლემს ჩაძირული ქუჩა.

გაიოჯ შავერჯაშვილი



სარედაქციო კოლეგია: ზ. გოლგოზაძე, (პ/მ. მდივანი), ს. კლდიაშვილი, ნ. ლუმბაძე, (მთავარი რედაქტორი),
ნ. მაღალაშვილი (მხატვრული რედ.), ნ. შველიძე, ო. ჭიქიძე. © სატირისა და იუმორის უზრუნველყოფის განყოფილება, მთავარი რედაქტორი
© ბიჭინავაძე რედაქტორი მ. კუხალაშვილი, თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42, ტელ. რედაქციის
99-76-69 რედაქციის მთავარი რედაქტორი გ. ბაგაძე, საქართველოს კავშირების განყოფილება, მთავარი რედაქტორი
ასაწარმოებლად 24/11-72 წ. ბელგოვიჩის ქ. 111-72 წ. კალაღის ზომა 70x108/8. ფორმული ნაბაჭი ფურცელი 1.
საარტიკლო-სამომხატვრო თაბახი 1,4 © საკრებულოს კ. ცაიშვილი, მთავარი რედაქტორი, ჯორჯიაშვილის ქ. № 14.
© შიშინაძე 01782 ტირაჟი 134.500 © ტვილიში სატირიკო-იუმორისტისკი ჟურნალ «ნიანგი».
ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ. © ТИПОГРАФИЯ ИЗД-ВА ЦК КП ГРУЗИИ. ТВИЛИСИ, УЛ. ЛЕНИНА № 14.

მთავარი რედაქტორის
მოადგილე
გიორგი ნიშინაძე



1979
საქართველოს
გეოგრაფიკული

Индекс 76137

მერა ჭამაში მოღის

შეერთებული შტატები მოკავშირეებს წინადადებას აძლევენ, მთლიანად აიყვანონ კმაცოფაზე 310-ათასიანი ამერიკული არმია, რომელიც განლაგებულია მათ ტერიტორიაზე.

მოკავშირეები ამერიკის ჯგაზი

